№ 2 1961 თბილისი იანვარი 1961

ნიანგი

გამოცემის XXXIX წელი, ფასი 20 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეაიგეს!

ესქესტრის
ლიდ
ოდეოლბე
ითანავე
ჩვენ
ძვიბდა.

ეიზენ
ბ. ბა
ეკოლოგიტ-
ბოლოდ
ეანიოვენ
ესიოვენ

სილოფიტრი
ოეესნიაა
საბინაკ
ოიდან.

ჩვენი
მეზობლის
ყოლი
უყვა
ეკოლ
ლ ლ ოს
ოეკლინ,
ეანოს,
ბოლენ.

ობოლოდ
ზოვაში
ოსეთი
ოეკზენ
ეიჩნიოლ
ეკლ
ყოყოლ
ეოლოვენ

მოლაყბის გადაცემა გრძელი ენისა
და მოკლე ჯაუის ტალღაზე.

ნახ ჯ. ლიდღუანი

კითხვა პასუხის სახით

კითხვა:—ძვირფასო ნიანგო, გასული წლის 23 აგვისტოს სამტრედიის რკინიგზის შემნახველ საკანში მივაბარე ხელბადე, რომელშიც ხილთან ერთად იყო ქათამი და ჭყინტი სიმინდი. როდესაც ხელჩანთა გამოვიტანე საკნიდან, აღმოჩნდა, რომ ნახევარი ქათამი და ჭყინტი ტარები ვირთაგვებს შეეჭამათ. ხომ ვერაფერს გვირჩევ, პატივცემულო ნიანგო, ამ ვითარებასთან დაკავშირებით?

პასუხი:—პატ. შ. ბუაძე, საქმე ისაა, რომ თქვენ ქათამთან ერთად დაგვიწყებიათ მარილისა და ნიორწყლის ჩაბარება შემნახველ საკანში, სწორედ ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ ვირთაგვებმა მხოლოდ ნახევარი ქათამი და რამდენიმე ტარო შეჭამეს. მოგეხსენებათ, რა უგემურია ერთიცა და მეორეც ნიორწყლისა და მარილის გარეშე. იმედია, ამ შეცდომას გამოასწორებთ თქვენი მომავალი მგზავრობის დროს, რითაც დაუფასებელ სამსახურს გაუწევთ სამტრედიის რკინიგზის სადგურის შემნახველი საკნის მუშაკებს ვირთაგვების რაციონალურ მოშენებაში.

კითხვა:—ამხ. ნიანგო! სიღნაღის რაიონის სოფელ ბოდბისხევში ყველაფერი ელექტროფიცირებულია, ნათურების გარდა. სინათლე მხოლოდ იმ ბედნიერ ოჯახებს ეძლევა შეღავათის სახით, რომლებსაც ან ქორწილი ან ნიშნობა აქვთ. ჰოდა, ახლა იმას გეკითხებით, დანარჩენებმა რა ვქნათ?

პასუხი:—მოქ. ქ. გელაშვილო, როგორც თქვენი კითხვიდან ირკვევა და როგორც ქორწილებისა და ნიშნობების სეზონური ხასიათით საბუთდება, თქვენთან ცვლადი დენი უნდა იყოს. ამ ნაკლის აღმოსაფხვრელად და მუდმივი დენის მოსაპოვებლად საჭირო იქნება გადახვიდეთ მასობრივ ქორწილებზე და ნიშნობებზე, აბა, თქვენ იცით, გილოცავთ გაბედნიერებას, გამრავლდით და გაიხარეთ.

კითხვა:—პატივცემულო ნიანგო, გასული წლის 27 მაისს, მოულოდნელად გაჩნდა ხანძარი ხარაგოულის სოფლის კოოპერატივის სასაუზმეში. ხანძარი სწრაფად მოედო სასაუზმის გარშემო მყოფ შენობებს. მთავარი ის არის, რომ სახანძრო რაზმის შენობა და მდინარე ჩხერიმელა, შემთხვევის ადგილიდან 50 მეტრით არიან დაშორებული. მიუხედავად ამისა, სახანძრო რაზმის უფროსი სებისკვერაძე იმდენად ყოჩაღი აღმოჩნდა, რომ მარტო რამდენიმე ნაგებობა დაიწვა მთლიანად. სახანძრო რაზმის შენობა კი მხოლოდ შეირუჯა. ვინ იცის, კიდევ რამდენ მამაცობას ჩაიდენდა სებისკვერაძე, ზესტაფონის და მარელისის სახანძრო რაზმებს რომ არ შეეშალათ ხელი მისთვის და ხანძარი არ ჩაექროთ. გვირჩიე, პატივცემულო ნიანგო, როგორ მოვიქცეთ ამ ამბის შემყურეები?

პასუხი:—გამოუცხადეთ სებისკვერაძეს მადლობა პირად საქმეში შეტანით გამოჩენილი სიმამაცისათვის. სახანძრო რაზმის გადაწვის საშიშროების თავიდან აცილების მიზნით, სახანძრო რაზმის შენობა საერთოდ გაიტანეთ ხარაგოულიდან. ასეთი სახანძრო რაზმი გინდა გყოლიათ ახლოს, გინდა არა.

კითხვა:—ძვირფასო ნიანგო, ბორჯომის რაიონის სოფ. კორტანეთში კლუბიც არის და ბიბლიოთეკაც, რა თქმა უნდა, ერთ შენობაში, როცა კლუბის გამგე ადგილზეა, ბიბლიოთეკარი სახლში ზის; როცა ბიბლიოთეკარი ადგილზეა, კლუბის გამგე არ არის. ორთავეს ერთად ნახვა ისევე სანატრელია, როგორც საინტერესო წიგნის წაკითხვა და კარგი კონცერტის ნახვა ჩვენს სოფელში. მაგრამ აღმოჩნდა გამოსავალი ამ მდგომარეობიდან, როდესაც არც ერთი არ არის ადგილზე, ორთავეს მოვალეობას 12 წლის ბავშვი ჯუმბერ წერეთელი ასრულებს. როგორ მოვიქცეთ, ძვირფასო ნიანგო?

პასუხი:—დალოცვილებო, გიპოვიათ კაცი და მე რაღას მეკითხებით, აიღეთ და დანიშნეთ ჯუმბერ წერეთელი კლუბის გამგედაც და ბიბლიოთეკარადაც. თქვენ გგონიათ ვერ გაუძღვება? მაგხელა იყო მოცარტი, აკადემიის წევრი რომ გახდა.

უამრავი ფოტოკორესპონდენტი, ჟურნალისტი და სეირის მაყურებელი შეიკრიბა ნიანგის პრესბიუროში. ეს იყო პირველი კითხვა-პასუხის საღამო, რომელსაც ნიანგი 1961 წელს აწყობდა. ეს საღამო იმითაც იყო აღსანიშნავი, რომ შეკითხვები ცალსული წლის არქივიდან იყო ამოღებული, მაგრამ ამ წლისთვისაც ინარჩუნებდნენ სიქორფავეს.



კითხვა:—ამხანაგო ნიანგო, ქ. ხაშურში ისე გამრავლდნენ ქუჩებში მოხეტიალე ძაღლები, რომ მალე სახლებში შემოგვიცვივიან. პატიოსნებას გეფიცებით, ამის შესახებ კრინტსაც არ დავძრავდით, ამ ძაღლებმა კბენა რომ არ იცოდნენ, არც კბენის გვეშინია, რადგან ამასაც შევეჩვიეთ, მაგრამ, ცოტა არ იყოს, გაცოფების გვეშინია, რადგან, მოგეხსენებათ, ცოფიანი კაცი ძაღლზე უარესია. არც მაგას ვინაღვლებდით, მაგრამ იმას ვწუხვართ, ძაღლებმა ქალაქის საბჭოს მუშაკები არ დაგვიკბინონ, თორემ ვიღა შეასრულებს გადაწყვეტილებას მოხეტიალე ძაღლების დახოცვის შესახებ, გვასწავლე რამე, ჩვენო ნიანგო, თორემ ვიღუპებით!

პასუხი:—ნუ მიეცემით პანიკას, შეინარჩუნეთ მაღალი მორალური დონე და სულიერი სიმტკიცე. ხშირად ჩაატარეთ საუბრები, «რა არის ცოფი და როგორ უნდა ვებრძოლოთ მას». ქუჩაში გამოსვლისას, თან იქონიეთ კეტები და ცოფსაწინააღმდეგო შრატები, ან არ გამოხვიდეთ ქუჩაში საერთოდ, არა და, დაამწყვდიეთ ძაღლები სახლში და თქვენ გამოდით ქუჩებში. თვითონ ძაღლებზე ნუ შეწუხდებით. იმედია რომელიმე მათგანი დაკბენს ქალაქის საბჭოს რომელიმე მუშაკს და თქვენს ტანჯვასაც ბოლო მოეღება.

მსოფლიოს სახელმწიფოები ყოველდღიურად შეიარაღებაზე ხარჯავენ 250 მილიონ დოლარს (225 მილიონ ახალ მანეთს).

(გაზეთებიდან).

ნახ. გ. ლომაძისა

ყოველდღიური მსხვერპლი.

უქნარების თავშესაფარი

ბილიარდი რომ სპორტის ერთ-ერთი სახეა, ეს სოხუმშიაც ცნობილია და იმიტომაც არსებობს აქ საბილიარდო,ამაში არამცთუ ცუდი არაფერია, არამედ, შეიძლება, იგი მისალოციც იყოს. მაგრამ ყოველ მოვლენას, თუ მეტი არა, ორი მხარე მაინც გააჩნია და მოვლენის მეორე მხარეა, რომ გვაფიქრებს და აღშფოთებით გვავსებს.

და ეს მაშინ, როცა არც სპორტული საზოგადოება „დინამო", არც აფხაზეთის შინაგან საქმეთა სამინისტრო, რომლის უწყებაშიც ეს სპორტული საზოგადოება შედის, არც კომკავშირის სოხუმის საქალაქო კომიტეტი ყურადღებას არ აქცევენ ასეთ მდგომარეობას.

საბილიარდოში უთენია იყრის თავს უსაქმური ახალგაზრდების წყება და იწყება თამაში, ასე ვთქვათ, წაქცევამდე.

გვიან საღამომდე არ წყდება ყაყანი და ხმაური, ერთი მეორისათვის ფულის „კანონიერი" ამოცლა, კოსტუმების გახდა, ლანძღვა-გინება, აურზაური და აყალმაყალი.

და აი საღამოთი ნაცემებივით ბრუნდებიან სახლში ეს უქნარები, ზოგს 2 კოსტუმი აცვია, ზოგი პერანგის ამარა მიაბოტებს, მისი კოსტუმი აკი სხვამ მოიგო, ზოგს, ნაჩხუბარს, გასიებული ცხვირი და ჩალურჯებული თვალები მოაქვს სახლში, რათა რამდენიმე საათით წაუძინოს და მეორე დილით ისევე მიადგეს საბილიარდოს, „ღღინი" გააცალოს თავის გუშინდელ გამარჯვებულ მოწინააღმდეგეს და, არამც თუ წაგებული ფული და კოსტუმი მოიგოს, ფეხსაცმელებიც კი გააძროს „მტერს". წინდების ამარა გააკზავნოს შინ ომგადახდილი.

საკითხავია, რა სარგებლობა მოაქვს ამ ვაი-საბილიარდოს და, თუ მაინცდამაინც უნდა იარსებოს მან, რატომ არ შეარქმევენ ნამდვილ სახელს: „უქნარების თავშესაფარს"?!

ი. სოხუმელი

— შეხედავ და იტყვი — რა დედამ შობაო!
— და რა მამა არჩენსო, არა?

გაუმარჯოს ბუნებას!

საქართველოს რომელი კუთხე გინდათ, რომ ლამაზი არ იყოს, ამიტომაც ეძახიან საქართველოს ცაფირუზ-ხმელეთზურმუხტოვან ქვეყანას და გეგეჭკორის რაიონიც არც ერთ რაიონს არ ჩამოუვარდება თავისი სილამაზითა და ბუნების ნაირფეროვანებით.

მრავალი სოფელია ამ რაიონში და, სხვა სოფლებს შორის, ჯოლევეიც ამაყობს თავისი სილამაზითა და მიმზიდველობით, შეუძლებელია, გულის მაგიერ ქვა თუ არ გიდევს, არ მოგხიბლოს მან, არ მოგიზიდოს, არ დაგატკბოს და გაგახალისოს.

მაგრამ, თუ გინდა მისი ხილვის სიამოვნება არაფრით შეილახოს, ვერტმფრენით უნდა გადაუარ-გადმოუარო ამ სოფელს, გადასერო იგი სიგრძე-სიგანით, შემოუარო და გაეცალო... თორემ, თუ ვინიცობაა, მიწაზე ჩამოხველ და ფეხით გავლა-გამოვლა მოგინდა, ოჩოფეხებზე უნდა შედგე და ისე იარო, თუ არ გინდა მუხლებამდე ტალახში ამოიგანგლო და თავბედი იწყევლო. ლაფში ჩაფლულმა, რამე თუ ადამიანი ხარ და არა კამეჩი, რომ დაწვე, იცოხნო და ლაფში ჩაფლული ფეხები მიზანმიდწეული გეგონოს.

ჯოლეველები ჯერ ვერტმფრენით არ არიან მომარაგებულნი და ოჩოფეხებსაც, როგორც ამბობენ, ვეღარ ეგუებიან, თურმე ამიტომაც დადიან თავიანთ სასოფლო შარაგზებზე შარვალაკაპიწებულნი და კაბააკეცილნი.

მაგრამ, არ გეგონოთ, ეს მთელი წელი გრძელდებოდეს ასე. სოფლის თავკაცებს არ ებრალებათ იქაური მცხოვრებლები, მაგრამ, სამაგიეროდ, ყოვლისშემძლე და ყოვლად მოწყალე ბუნება ქმნის სასწაულებს დროდადრო, გააშრობს შარაგზებს და მაშინ ისე ადვილდება იქ გავლა, რომ ფეხის წვერიც არ დაგისველდებათ.

ჰოდა, თქვენც საბოლოოდ ივიწყებთ სოფელ ჯოლევის თავკაცების დაუდევრობას, სასოფლო შარაგზების მშენებლობას რომ არაფრად აგდებენ და აღტაცებული გაიძახით: ვაშაა! გაუმარჯოს ბუნებას!

მგზავრი

ოქროპირის-ძის დუელი

ინგლისის გენიალურმა დრამატურგმა, უილიამ შექსპირმა, ოქროს «კაცობრიობის სათრეველა" უწოდა და ხალხთა შორის განხეთქილების ჩამოგდება მასვე დასდო ბრალად, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ოქრო, როგორღაც დღემდე კარგისა და ძვირფასის სინონიმადაა მიჩნეული.

და, რა გასაკვირია, თუ ცხაკაიელები ცას ეწივნენ, როცა რკინიგზის სკოლა-ინტერნატის სპორტული დარბაზის აშენება სამტრედიის სამშენებლო კანტორის უფროსმა ბაგრატ წულაიამ იკისრა, რომელიც, როგორც მის ახლობლებსა და ნაცნობ-მეგობრებს უსათუოდ მოეხსენებათ, ოქროპირის-ძეა.

— ოქრო კაცია ბაგრატ ოქროპირის-ძე,—ამბობდნენ ცხაკაიაში დიდები თუ პატარები, როცა ამხ. წულაია გამალებით აშენებდა სპორტულ დარბაზებს.

ააშენა და დაამშვენა კიდეც, წარმოიდგინეთ, პარკეტიც კი დააგო და, თავის ახალშეძენილ თაყვანისმცემელთა მჭუხარე ვაშას ძახილში, ოქროპირის-ძემ სპორტდარბაზი საექსპლოატაციოდ გადასცა.

კიდევ დიდხანს ისმოდა ოქროპირის-ძის დიდება ქ. ცხაკაიასა და მის შემოგარენში, მაგრამ ერთ ღრუბლიან დღეს ყოველგვარი წინასწარი გაფრთხილების გარეშე წამოვიდა კოკისპირული წვიმა და სპორტდარბაზში წყალმა ამოხეთქა. მას მერე ხაპავენ და ხაპავენ ამ წყალს, მაგრამ საშველი არ დაადგა, ერთ ნაწვიმარს რომ ამოხაპავენ, ისევ გაწვიმდება და ისევ ადგაფუნდება მყაყე წყლის დაუპატიჟებელი მორევი.

როგორც ჩანს, ოქროპირის-ძეს ეს დარბაზი კარგი დარეგისათვის აუგია, მაგრამ, რაკი სპორტი ავდარშიაც საჭიროა და ნაავდრალშიც, იქნება ამ უნიკალურმა მშენებელმა კეთილ ინებოს და ახლა საავდრო სპორტდარბაზიც აუგოს სკოლა-ინტერნატს, რათა ოქროპირად წოდებული ამიერიდან აუგად არ მოიხსენიონ.

სახელს გაფრთხილება უნდა, ბიძია!

ცხაკაიელი

სტუმართმოყვარეობა

ქართულ სტუმართმოყვარეობაზე ბევრი წამიკითხავს და ბევრი რამეც მსმენია, მაგრამ ცოლის შერთვამდე ამ საკითხის პრაქტიკული მნიშვნელობა მაინც არ მესმოდა, რადგანაც სტუდენტობა საერთო საცხოვრებელში გავატარე და მასპინძელი არასოდეს არა ვყოფილვარ.

ცოლი რომ შევირთე, მერე ჩემს სახლში სტუმარი ალარ გამოლეულლა... ცხადია, სტუმარი ყველას უყვარს, მაგრამ ყველა სტუმარი პატივისცემით მაინც არ სარგებლობს! ამჯერად ჩემი ოჯახის სტუმართმოყვარეობაზე მოგითხრობთ; მაგალითად, მე და ჩემი მეუღლე ნატალია, ორივე სტუმართმოყვარეები ვართ. მე მოხარული ვარ მისიანების სტუმრობით, არც იმას არ სწყინს ჩემიანების მოსვლა, მაგრამ სტუმრებთან შეხვედრა მაინც სხვადასხვანაირი გვაქვს, მე სტუმარს სულ თვალებში ვუცქერი, ის კი ხელებში მისჩერებია! სტუმრისათვის სათანადო თაფარიგიც გვიჩრიგს. მე ვიცი საკუთარი ხელით დაწერული ღვინის დაყენება. ნატალიას კი მურაბების მოხარშვა აინტერესებს და მეორედ მოსვლამდის უყვარს მათი შენახვა-გადამალვა!

ამის გამო ჩვენს შორის ერთხელ ასეთი საუბარი გაიმართა:

— ქალო, მოიტანე, გავსინჯოთ შენი გაკეთებული მურაბები, ვინ იცის, დამწარებულა კიდეც?!

—ოო, გავმწარდი შენზე! მურაბას მაშინ გამეგე, როცა ავად გახდები!

— ოცი წელი მაინც იქნება, რაც ავად არ გავმხდარვარ და, ამ ხნის განმავლობაში, მარტო ტკბილის საწებელას ჭამამ ჩხირივით ჩამომამბო კაცი!

— არა, მაინც ტკბილეული რა კაცის საშვილია?!

— თუ აგრეა, მაშინ ის ჩემი დაწურული ღვინის ჭაშნიკი მაინც გამასინჯე, არ დაგიღუპოთ, ღვინო არ დაგიძმარდეს!

— ძმარი წაგდინდეს მაგ ცხვირიდან! სად გაგონილა სტუმრის გარეშე ღვინის დალევა, შე მუცელგასახეთქო, შენა?!

ჩვენი «ტკბილი» საუბრიდან დიდხანს არ გაუვლია და ერთ მშვენიერ დღეს მოულოდნელად მესტუმრა კარგა ხნის უნახავი ძმა, შვილი ჩამოიყვანა სასწავლებელში მოსაწყობად, თანაც ხელზე ერთი ტიკი ხვანჭკარული გამოეყოლებინა.

ჩემი დისახლისიც, რა თქმა უნდა, დატრიალდა მსახიობის ოსტატობით, გააწყო სუფრა. მოიტანა: წიწმატი, ტარხუნა, ბოლოკი და ბოსტნეულობის მთელი ასორტიმენტი! სუფრის გაშლას რომ მორჩა, ენა «გაშალა»: ისიამოვნეთ, სანატრელო მაზლო! იმედია მცირედზე არ დამემდურებით!

—ღვინოს მოგარომეცდით, მაგრამ ჩვენი ღვინო მოკაშკაშეა და ვერ შემოგბედავთ თქვენი «ხვანჭკარა» კი ალბათ მობეზრებული გექნებათ და ისევ ცივი ლუდი ვამზობინე!..

მე სიბრაზისაგან მაღარიაშეყრილივით ხან კბილებს ვაჭარჭიალებ, ხან, თვალებს ვაბრიალებ, მაგრამ, არ შეგეშვმოს ჭირმა, «ეუღუმა» დაგრიალებული ცოლი «წალმა» ვერ შემოვაბრუნე!.. ძმა უპატივცემლოდ გავიოსტუმრე. მე გულნატკენი დავრჩი! ერთი კვირის შემდეგ ცოლისძმა მეწვია, კოლმეურნეობიდან თბილისში ათდღიანი მივლინება ჰქონდა და ჩემთან ჩამოხტა. გაიმართა გულთბილი მასლაათი, გაიშალა პურ-მარილი,წიწმატი და ტარხუნა—წიწილეებმა და მწვადებმა შესცვალა, ლუდი — «ხვანჭკარამ», ბოლოს, სუფრაზე გაჯამაულული მურაბებიც გამოჩნდა, სტუმარმა «მოლეკ» «მრავალქამიერი» წამოიწყო და ლხინი გაგრძელდა... მეც სიამოვნებისაგან თავი, სახლში კი არა, სამოხაზეში წარმოვიდგინე! სამსახურში: ადგილკომს დასასვენებელი სახლის საგზურზე უარი განვუცხადე! მერე სამინისტროში ნაცნობები გამოვნახე და, როგორც იქნა, ცოლისძმის ათდღიანი მივლინება ოცი დღით კიდევ გავაგრძელებინე. მოკლე «მრავალქამიერი» გრძელმა შესცვალა, «ხვანჭკარასა» წარეკა გამოვუყენეთ და ჩემი დაწურული ღვინოც სანახევროდ შევწრუპეთ! ჩემი ძმა ხომ თავზე უფრო ძლიერ მიყვარს, მაგრამ სტუმრად მაინც ცოლისძმა მირჩევნია!!!

ს. აბაიშვილი

ნახ. ნ. მალაზონიანი

— რაშია საქმე, ერთი კვირაა ახალი წელი დაიწყო და ერთი ცალი გაზეთიც არ მიგვიღია!

— რა გეჩქარება, შე კაცო, წელიწადი ახლა დაიწყო!

მინიატურები

ექიმის კონსულტაცია

— ექიმო, როგორ მოიქცე, რომ სიცოცხლე გაგიხანგრძლივო?

— არ მოეკვდე.

* * *

— იმის გამო, რომ საშინელი ბერინვა ვიცი, თქვენ წარმოიდგინეთ, თოხოვანაზე თავს ვიკვეგდ. ნუთუ გლანდების ამოჭრის გარდა არაფერი მეშველა, ექიმო?

— როგორ არა, ეცადეთ ყრუს გაყვეთ ცოლად.

გულახდილი პასუხი

— თუ ამა ხარ, მითხარი, როგორი უნდა იყოს კაცი, რომ სიდედრან უსიამოვნება არ მოუვიდეს?

— უცოლო.

ეს ყველაფერი ძალიან უბრალოა საკითხავად.

ეხოერგანაში კი არ იყო ასე უბრალო...

ეზოდან გამოსულისას პირველად მოვარე შეენიშნე.

მოვარე ოფორი ქალთამეგინი მეზობლის ლობეზე შემოკუბულიყო და თვალთმეფდა.

ახლაც შეჩმეჯდა, როგორც ყოველთვის.

დავეფარეთ... ვადაკვნესეტრტ... გავბეზედ და რამდენიმე ნახტომით ისევ დავეშვნე.

— გამბარკობამ!

— გავიბარკოთ?!

— მეკონი ვერ მიეცანით.

— ღიახ... მაგრამ ანა, დაიცეთ... იცით, რა ძალიან ნაცნობი სახე გაქვეთ.

— როგორ ვერ მიეცანით, ვახსოვთ? ამ ორი კვირის წინათ საფარო ბიბლიოთეკაში რომ ბრძანდებოდით? თქვენს უკან მეორე მაგიდაზე სპი ყარწეული იჯდა. მათ გვერდით ვიღაც საოცალანი კაცი, ხოლო ამ კაცის უკან... ანა თუ გახსოვთ?!

— მეკონი თქვენ. არა?

ეკმეხარეა, რომ გავახსენდი.

— ღიახ. მე სულ თქვენკენ მეგერია თვალი. თქვენ კი სულ არ იმეფებოდით ჩემკენ. ოიცა წარმანდეთი, ბიეცდი და, თქვენ რომ წიგნს კითხულობდით, „ბაბორნს", ის წიგნი ბოლომდე წაიკითხე.. შემეგეკ.

— ჰოდა, მერე ახლა რა ანეგბაკეთ?

—ერთი სიტყვით ინ დღის

შემდეგ შემოყარდით და...

და თქვენ ვერ მამჩნეეთ, ოიორემ ეს ოცი დღეი ყოველთვის ამ ადგილზე ეზდეგბოთ. მე თქვენი სახლიკე ვიცი და თქვენი მეზობლის ეკეიანი და ერთეული ძაღლეიც.

თვალები ეუეკმედდა.

— იცით რა, ამ საკითხის გადაწყვეტა ადგილიდან არ შეიძლება. დედას დავკითხავ.

არ ვიცი, დედას დავკითხა თუ არა, ეს კია, ამის შემდეგ ჩვენ ყოველთვის, ეუერო სწორად, ყოველ საღამოს ეზდეგბოთ ერთიანეთს.

ერთად ეკეიანეთ დაკაბამის ტკბილ სიმფონიას.

საღამე ეკეიანეთ ბოლოეული ვარდის შემეკედა, მეზობლის თავზეწეული ძაღლი კი ცრემლიანი თვალებით მოეყარეს ეეკალობდა.

და, როცა ღამით ხელეკადაბეკეული შინისაკენ მივბაეკეთ-მოკარე დედაშიშეს ღიმილით დასტკერედ და ანალი კოსმოსური რაკეტის მოლოდინში გამოშეკეკეად ილიმებოდა.

შეეშმნეკეად გაგვეკარა დრო.

ერთწეალი.

ადამიანია ბედნიერების ყველაზე ლამაზი დემონსტრაციაა.

სიეკაოულის სანეკკარი და სასურველი ვეგრეკაკეა!

ნახ. ლონინა

— ყველა მებოფეტე მხუკანი და სკელია, შენ რამ დაგადნი ასე?

— ორი დღეა, ბატონო, რაც აქ ვმუშაობ!

მთვარე ლ სიყვარული

(ანტიმენტალური იუმორესკა)

ბატარძალი თავდახრილი ილიმება. ჩემი მზერა კი ბაგედა მაყრიონია ვარიუულ სახეებს, სარგებლიდან ლამპიონის შუქის ნიაღვართან ერთად ბაიჭრა და თვალსაცაბაშებაში მთვარეს დაადგა.

მთვარეს შავი ლაქებით დაფარულს.

მთვარეს, თამადას სატყვებით, მუსმთან პირნათლად და პატრონსად შეგეტრეულს.

ხარაოკეის ჩქარში გაჩრილი საცეკვაო დაირასაკენ ხმაურობდა.

, ასე დამთავრდა პირველი ეტაპი ჩვენი სიყვარულისა...

— სადა ხარ აქამდე? თვალები გამომიაღდა ოთახ კედელში ჯდომით. ვერ მოიცალა ამ შენს ჩიტკინან ბაკნეკ? თუ მარტო ბე ბეკეოენის? ღმერთო, რა ეზედერი ვარ, რა ტეი ბეკეტეკე ასეთი. ეჩარი კი არა, ძაღლი ხარ, ძაღლი!

— ქალო, ეკრეს...

— არ გამაგონონ!

სპასოლეო იატაკანეკეთ ეკიდა ცაზე მოთმინებადაკარეული ნალეკი მთვარე.

— ან დაკაწინაურეკეს, ან მოვიმატეკ ხელფასი.

კაცი ხარ შენ.

ბიშეკეკ-ტრტეკეკ-ბმიერი ბკადეს. ცოლ-შვილი. მარტო ეკედის სატარეზლად გაბია ამოდენა თავი?!

ღიახ, იყო ასეთი შემთხვევაც და..

მთვარე ოჭროს აბაზიანივით ვაჩჩიარულიყო ცის კაბადონზე ბამბანნეულ ვარსკვლავებს შორის.

ახლა ისევ ამ ქეჩოზე მოვაბიეკეს, სადაც ხეთი წლის წინათ შეეხვედი და გულისკანკალით საკაო ბიბლიოთეკა მოვაგონე.

აქ ყველაფერი ისევ ისეა, როგორაც იყო, მხოლოდ ერთი განსხვავებით.

მთვარე ანსაკეა ჩანს.

ალეზო მიშველაძე

ნახ. გ. ფირცხალავა

— მოიცა, ენ დამრჩი შეუღლებაი!

ოქროს ყვავი

ჯ

ელი თვე ურჩევდნენ სახელს ახალდაბადებულს. ბოლოს ოლიმპიადა შეარქვეს. ამ სახელზე იმიტომ. შეჩერდნენ, რომ ქუთაისში იმ ხანებში თვითმოქმედების საქალაქო ოლიმპიადა მიმდინარეობდა და, ამის აღსანიშნავად, პატარა გოგოს ოლიმპიადა უწოდეს.

გაანებივრეს, ბავშვობიდანვე ფუფუნებასა და უსაქმობას შეაჩვიეს მშობლებმა ერთადერთი ქალიშვილი.

მშობლების ვალში არც ოლიკო დარჩენილა. მართალია, სწავლას გული ვერ დაუდო, მაგრამ დედამამის ხათრით ათი წელი მაინც იარა სკოლაში და, როგორც განსვენებული მამამისი იტყოდა, რვაკლასიანი ქალი გახდა.

სწავლის დამთავრების შემდეგ მოდების ატელიეში მოუხშირა სიარულს. თითო მეგობარი ყოველ მაღაზიასა და საწყობში გაიჩინა, მუდამ ძვირფას და იშვიათ ქსოვილებს დაეძებდა. უეჭველად უცხოური ქუდი და კაბა უნდა შეეძინა. —უნიკუმია! —წამოიძახებდა თუთიყუშივით გაზეპირებულ სიტყვას, როცა სასურველ ტუფლს მოიხელთებდა, სწრაფად ჩაიცვამდა, ხელში დიდ ჩანთას დაიჭერდა და ქალაქის მთავარ ქუჩებს პაკაპუკით შემოივლიდა.

თუ რომელიმე ქალის ჩაცმულობა არ მოეწონებოდა, ამრეზილი ჩაუვლიდა და ჩაილაპარაკებდა: „სოფლუშკა, არცხვენს ქუთაისის ბულვარს“, მაგრამ, თუ ვინმეს გამოფენასავით აჭრელებულს დაინახავდა, სახლის კარამდე მისდევდა, უტიფრად გაეცნობოდა, გამოჰკითხავდა, სად რა შეიძინა და

— ის დღე რატომ არ დაიქცა, მე რომ შენი ცოლი გავხდი! რა ვიცოდი თუ ამისთანა სულელს მივყვებოდი! კაცობაო! ვაი შენს პატრონს, შე უბედურო!

იმ საღამოს ცოლ-ქმარი გვარიანად შელაპარაკდნენ. ოლიმპიადას მთელი ღამე თვალი არ მოუხუჭავს· გათენდა თუ არა, სასწრაფოდ ჩაიცვა და წასასვლელად მოემზადა.

— დღეიდან ამ სახლში ჩემი ფეხი აღარ იქნება!— შესძახა ოთახში ახლად გაღვიძებულ ქმარს და პაკაპუკით კიბეზე ჩაირბინა.

როგორი იყო ვარდენის გაოცება, როდესაც ნაშუადღევს მისი სამუშაო ოთახის კარი გაიღო და თვალებგაბრწყინებული ოლიმპიადა შემოვიდა.

ოლიმპიადამ ოთახში მყოფთ გადახედა, მერე ქმარს ჩუმად ხელი დაუქნია და დერეფანში გავიდა, ვარდენი მაშინვე გაჰყვა..

—არ გაგვწირა ბედმა! — იდუმალი ხმით მიახარა ცოლმა.

— რა მოხდა, ოლიკო?

— არაფერი გაგიგია?

— რა უნდა გამეგო?

— რას ამბობ, კაცო! ჭურში ზიხარ?

— მითხარი, შე ქალო, რა იყო!

— ელიზბარს ვაჟი შეეძინა, ახლა დამირეკა კოკონამ.

— ოჰ, მართლა! ძალიან მესიამოვნა მე და ჩემმა ღმერთმა.

— ახლა უნდა გადაწყდეს შენი ბედი, გესმის! — ხმას დაუწია ოლიმპიადამ.

—მე რა შუაში ვარ, ოლიკო!

როცა ოლიმპიადამ შოკოლადის აკვანი შეუკვეთა.

—შოკოლადის აკვანი?!—დაჭყიტა თვალები ქოიავამ. — კი მაგრამ, ასეთი რამ შეშუდში რომ არ მიწერია!

— ვალიკო, გენაცვალე, პირდაპირ ეზდა ციხერა, ამ საჩუქარზეა დამოკიდებული ჩემი ცხოვრება!

— თუ არ შემიძლია, შე ქალო! უყალიბოდ აკვანი როგორ გავაკეთო?!

— დამკალი და ესაა, ვალიკო! — ხელები გაშალა ოლიმპიადამ და ისე გადაატრიალა თვალები, თითქოს სული ეპარებოდა.

— სხვა რამე შევარჩიოთ, ოლიკო, რაც გინდა, იმას გაგიკეთებ!

— აჰ, აჰ! — შეიცხადა ოლიმპიადამ. — აკვანი! მეტი არაფერი გამაგონო!

— რა ვქნა, ოლიკო, ნუ დამემდურები, რაც არ შემიძლია, არ შემიძლია! —მოუჭრა ქოიავამ გულშემოყრილ ბიძაშვილს და მხარზე ხელი მოუთათუნა.

— კარგი, ვალიკო, შენი სირცხვილი, თორემ აკვნის გამკეთებელს კი მოვნახავ ამოდენა ქალაქში. —ეს უთხრა ოლიმპიადამ და კარებისკენ გაემართა, მაგრამ უეცრად ქოიავას ხმამ გააჩერა:

— კი მაგრამ, ვისთვის გინდა ამისთანა უცნაური საჩუქარი?

ოლიმპიადა შემობრუნდა.

— ელიზბარ კუხიანიძეს ვაჟი შეეძინა გუშინ! უბრალო რამე არ მინდა მივუტანო!

— ელიზბარს? საბინაო სამმართველოს უფროსს?

ოლიმპიადამ თავი დაუქნია.

— რას ამბობ, ოლიკო! აქამდე ვერ მითხარი!

სად რა შეიკერა. ოლიმპიადამ მაღაზიებში სიარულს მას შემდეგ უფრო მოუხშირა, რაც იგი საბინაო სამმართველოს თანამშრომელს ვარდენა მოსეშვილს მიათხოვეს.

— ცხოვრებას მოხმარა უნდა, აბა შენ იცი, გემოვნება ჩემი იყოს, ოღონდ შენ ფული არ მომაკლო! — უთხრა ოლიკომ ქმარს ქორწინების მეორე დღესვე.

ვარდენმა ტკბილად გაუღიმა მეუღლეს და ფრთხილად აკოცა სტაფილოსფრად შეღებილ ტუჩებში.

ოლიმპიადა ყველაზე ადრე გაიგებდა თუ სადმე საზღვარგარეთულ საქონელს მოელოდნენ, იმავე საღამოს მისი მარჯვენა ხელის თითები საოცრად დაგრძელდებოდნენ და ქმრის ჯიბეში ფათურს დაიწყებდნენ. ეს ჯიბე ხშირად ცარიელი იყო, ამიტომ ოლიმპიადამ გადაწყვიტა ვარდენის დაწინაურებაზე ეზრუნა.

იმ საღამოს ქმარი შინ შეზარხოშებული დაბრუნდა და ცოლს ახალი ამბავი მოუტანა, საბინაო სამმართველოს უფროსად ელიზბარ კუხიანიძე დანიშნესო.

ოლიმპიადამ ხელი ხელს შემოჰკრა და ვარდენს კისერზე ჩამოეკიდა.

—თუ ამ ქვეყანაზე პურ-მარილს რაიმე ძალა აქვს, ახლა მაინც უნდა გეღირსოს მოადგილის სავარძელი! რაც მე ელიზბარს ამ ზამთარში ხაჭაპური ვუცხვე და საცივი ვუკეთე, — ერთ ქორწილს გადაიხდიდა კაცი!

—არ ვიცი... არ ვიცი! დღეს მეც დავპატიჟე სადილად წყალწითელაზე, მაგრამ ვერაფერი დავტყუე.

— რაო?!—წამოვარდა ოლიმპიადა. — სხვაზე ფიქრობს თუ?!

— რა ვიცი!—ამოიხვნეშა ვარდენმა. — ბიჭიკო ბარდაველიძეს იმ სიგრძე სადღეგრძელო უთხრა, რომ...

— არ გამაგიყო, კაცო! ბიჭიკო ბარდაველიძის თეძომოქცეულმა ცოლმა უნდა მაჯობოს?!

ოლიმპიადას ჯავრისაგან პირისახეც სტაფილოსფერი გაუხდა.

— დაწყნარდი, ოლიკო! რა მოხდა მერე! არ გვშია და არ გვწყურია, შე ქალო! როდის იყო, კაცობას სავარძლით ზომავდნენ!

— ყური დამიგდე! პირველი შვილია, ხომ იცი! ახლა ისე არიან მშობლები გახარებულნი, — ვინც მარჯვედ დატრიალდება, ბედის სასწორიც მისკენ გადაიხრება.

— მომკალი, თუ გინდა... ვერაფერი გავიგე, ოლიკო!

— შენი გაგება რად მინდა, შე უტვინო. შენ ფული მიშოვე და დანარჩენი მე ვიცი! ისეთ საჩუქარს მივართმევ, შენი უფროსი თვითონ გეხვეწებოდეს, „ნოვეიჩ, ამ სავარძელში დაბრძანდიო“.

ვარდენი გაუყუჩდა, უარი აღარაფერზე არ უთხრა. რომ ცოლს წივილ-კივილი არ დაეწყო და ხალხში თავი არ მოეჭრა.

შუაღამე გადავიდა. კარგა ხანია დაიძინა ნინოშვილის ქუჩამ. სახლებში სინათლე ყველგან ჩამქრალი იყო. მხოლოდ ერთი პატარა ფანჯარა ფხიზელი თვალით გასცქეროდა ღამეს. დროდადრო ფანჯარას ქალის ლანდი მოადგებოდა, მერე ისევ გაქრებოდა და უმალვე ოთახში ვედრებით სავსე ხმა დაიკვნესებდა:

— დამაძინე, შენ გენაცვალე! ხვალ ადრე უნდა ავდგე!

— არა, ჯერ მითხარი, პირისანახავი რა მივართვათ პატარას!

— მთელი ღამეა ვფიქრობთ და ვერაფერი გადავწყვიტეთ. ჩემი არჩეული შენ არ მოგწონს და რა ვქნა! რაც გინდა, ის მიუტანე! ოღონდ დამაძინე, გეხვეწები!—ვარდენმა გვერდი იბრუნა და მალე ხვრინვა ამოუშვა.

— შენ დაიძინე გაუღვიძებლად! — დაჭკივლა ოლიმპიადამ და ისევ ფანჯარასთან მივიდა. ერთხანს დაღონებული გასცქეროდა ქუჩის პირზე ჩარიგებულ ჭადრებს, მერე ერთბაშად შემობრუნდა და მძინარე ქმარს დააცხრა.

— რა ცოლი გყავს, რომ იცოდე, რა ცოლი! ვიპოვე რაც მინდოდა, ახლა იხვრინე და ისტკვინე, რამდენიც გინდა, ჩემო ვარდენ!

... მეორე დღეს ოლიმპიადა საშაქარლამო ფაბრიკის ერთ-ერთ საამქროში გაჩნდა და თავისი გარეგნებაშვილი ვალიკო ქოიავა ინახულა.

—უნდა მიშველო, ვალიკო!

— თუ რამე შემიძლია... — მიუგო ვალიკომ. ეგონა ნათესავი ქალი რაღაც განსაკუთრებული ტორტის გამოცხობას თხოვდა, მაგრამ გაოცდა, ელიზბარს ვაჟი შეეძინა? უყურე შენ! აკვანს კი არა, უკვდავების წყაროს გავაჩენ მისთვის. შენ წადი, მე ვიცოდე და ჩემმა კაცობამ. შოკოლადის აკვანი საღამოს მზად იქნება!

სიხარულისაგან ცადასულმა ოლიმპიადამ ვალიკო გადაკოცნა და პაკიპუკით ოთახიდან გავიდა...

„კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდაო“, — ამბობს ქართული ანდაზა.

სწორედ ასე მოუვიდათ ჩვენი მოთხრობის გმირებსაც. იმ საღამოს ვარდენი სამსახურიდან ყურებჩამყრილი დაბრუნდა.

— თვალებში შემომხედე, კაცო! — აივნიდან გადასძახა ოლიმპიადამ ეზოში შემოსულ ქმარს.

ვარდენს ვითომც არ გაუგონია ცოლის სიტყვები, თავდახრილი ამოვიდა კიბეზე, ოლიმპიადას უბრად ჩაუარა და ოთახში შევიდა.

—დამასწრეს? გამომჭრეს ყელი?

—დანიშნეს მოადგილე!—ძლივს ამოილუღლუღა ვარდენმა.

— დანიშნესო!—ოლიმპიადამ ლოყაში ხელი იტკიცა და გულშემოყრილი იქვე ჩაიკეცა.

ვარდენმა ჭიქით წყალი მოარბენინა და ცოლს სახეზე შეასხურა.

—ოლიკო! ოლიკო! გაახილე თვალები! ხმა ამოიღე, თორემ მეც წავედი ხელიდან.

ვარდენ მოსეშვილი კარგად არ იცნობდა თავის მეუღლეს. არა, ასე ადვილად ოლიმპიადას სული და ხორცი ერთმანეთს არ გაეყრებოდა. იგი მალე მოსულიერდა, წელი ძლივს წამოიღო, ტახტზე დაეშვა და ისე სუდიანად გადახედა ქმარს, თითქოს მის წინ მიცვალებული ესვენა.

ამ დროს მეორე ოთახში ტელეფონმა დარეკა. ოლიმპიადა ტელეფონთან მივიდა და ყურმილს დასწვდა.

— გისმენთ!

ტელეფონში ვალიკო ქოიავას მხიარული ხმა გაისმა:

—შენი შეკვეთა მზადაა, ოლიკო!

—მეტი არაფერი ჭამა ელიზბარ კუხიანიძემ, სანამ იმის ღლაპს შოკოლადის აკვანი არ მივართვა!—ჩასძახა ოლიკომ და ყურმილი ორკაპზე დაახეთქა.

სერგო ფხაკაძე

განუწყვეტელი სეანსების კინოში

ნახ. გ. ფირცხალავასი

შესვლა დილით, გამოსვლა ღამით.

წერილი ნიანგს

მე დიდად შემტკივა გული საშენ მასალათა მრეწველობის სამმართველოს ქსნის აგურ-კრამიტის კომბინატისა და სამგორის ადგილობრივი მეურნეობის ქსნის კრამიტის ქარხნის მუშა-მოსამსახურეებზე, რომლებიც წყაროს სუფთა წყლის ნაცვლად მტკვრის მღვრიე წყალსა სვამენ და ჰიქის ყოველ მოყუდებაზე მადლობითა და სიყვარულით იხსენიებენ აღნიშნული ორგანიზაციების ხელმძღვანელ ამხანაგებს; ახლა ყინვები დაიჭირა, შეიძლება მტკვარი გაიყინოს და ზებუნებრივმა ძალებმა ეს ერთი ღვთით მოცემული წყალობა მსხვილი ყინულით დაფაროს. ამიტომაც გთხოვთ, აცნობოთ, რომ მტკვარზე გაწოლილი ყინულის გასალხობად იმდენი ღირებულების თანხაა საჭირო, რამდენის მეასედიც საკმარისი იქნებოდა ქსანში სასმელი წყლის გამოსაყვანად.

ისე კი, ღმერთო, შენ დაიფარე ქსნის მუშა-მაცხოვრებლები უწყლოთ დახრჩობისაგან.

ვ. არაგველი

დავდივარ, დავეძებ...

ჩემი დაბადება გუშინდელ დღესავით მახსოვს. ახლაც ყურში მიწივის მამაჩემის თოფის ქუხილი. თვალნათლივ მახსოვს, როგორ ემთხვია ბებიაჩემი დედაჩემს შუბლზე და ჩიფჩიფით უთხრა: ღმერთმა დიდი ბიჭი გაგიზარდოსო. ცხონებულ იყავ, ბებიაჩემო, ახდა შენი ლოცვა. სხვა თუ წლით იზრდებოდა, მე დღით ვიზრდებოდი და აგერ, ოცდათხუთმეტი წლის ვაჟკაცს, მეტრნახევარი მაქვს სიმაღლე.

ჩემი ხნის კაცს ზოგს უკვე რამდენიმე ცოლი ჰყავს გამოცვლილი, მაგრამ ჩემსავით გულხელდაკრეფილი ჩემი ხნისა არავინაა. მერე და რა მოხდაო, იტყვით, ადექი და დაცოლშვილდიო. სახლშიც ყველა იმ აზრისაა. ამ საკითხს მიეძღვნა გუშინ ჩვენს ოჯახში გამართული კამათიც.

დედაჩემი—ჩემს დედისერთას არავის დავაჩაგვრინებ. რავა, ამხელა ვეშაპივით ვაჟკაცმა ვიღაცის გომბიო მომგვაროს ამ სასახლესავით სახლში და კაბის ბოლოზე «ვოლგა» მაინც არ ჰქონდეს გამობმული? არა, შვილო, ან ასე იქნება, ან, სულ უცოლოდ დაგაბერებ, ვოტ ი ვსიო.

მამაჩემი—მე, შვილო, შენს პირად საქმეში არ ვერევი, ვინც გინდა, შეირთე, მხოლოდ, გახსოვდეს, თუ ვინმე უშნო და ულაზათო შემოგიყვანია ამ უცხოური ავეჯით გაწყობილ ბინაში, ცხვირს ბუკივით გაგიხდი.

დეიდაჩემი—აგენი ორივე აბდლებია, შვილო, მომისმინე აგერ. არც სილამაზეა ამ დროში მთავარი და არც «ვოლგა», მთავარია, ოჯახის საქმე იცოდეს ქალმა. რავა გგონია, რომ მოათრევ იმ შენს მზეთუნახავს, კიდევ მე დაგირეცხავ და დაგიკერებ?! იმდენი არ აგიდგათ გვერდები არც შენ და არც იმას, მეყო, ჩემი ახალგაზრდობა შენს წამოჩიტებას შევალიე, ვიღაცა იქნება, კეთილი ინებოს და სახლში დაბზრიალდეს. კინო ჩემთვის არ არის და თეატრი, მაშინ მაინც ამოვისუნთქავ ცოტას.

როგორც ხედავთ, ჩვენს ოჯახში ყველა ჩემი დაქორწინების მომხრე და მომლოდინეა. ახლა მე სამწყალშუა ვარ, დავდივარ და დავეძებ ისეთს, რომელიც ზემოჩამოთვლილ ყველა პირობას განუხრელად შეასრულებს. თუ შეხვედრაა, მალე მაინც შემხვდეს, რომ გული საგულეში ჩავიგდო, თორემ, სადაცაა, «ჩაიკა» გაახუნებს «ვოლგას» და დედაჩემს მეტიც არ უნდა, დაიჩემებს «ჩაიკაა» ახლა მოდაშიო და აბა, მაშინ უნდა ნახოთ ჩემი გაჭირვება.

შ. მარმარაშვილი

საქართველოს სსრ სახ. წიგნის პალატა № 72 61 წ. სავალდებულო 1/II

რედაქტორი ნ. შველიძე. სარედაქციო კოლეგია: აკ. ბელიაშვილი, ნ. დუმბაძე, ს. კლდიაშვილი, ნ. მალაზონია, მ. ქარჩავა, ო. ჭელიძე.
საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა
თბილისი. სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“. Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Нианги“.
რედაქციის მისამართი: რუსთაველის გამზ. № 42. ტელეფონები: რედაქტორის—3-76-69, საერთო განყოფილების—3-10-49
ხელმოწ. დასაბ. 18/I-1961 წ. ქაღ. ზომა 70×108 1/8, 0,5 ნაბ. ფურც. 1,37. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 0,5. პირობით ფორმათა რაოდენობა 1, ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ. პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. 14. შეკ. № 20, უე 02311. ტირ. 40000

„ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკის თანამდებობის პირები თავგამოდებით მოითხოვენ, რომ ატომური იარაღი ფაქტიურად აღმოჩნდეს შპაიდელისა და ჰოიზინგერის ხელში, რომლებიც, როგორც გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის წარმომადგენლნი ნატოს სამხედრო ორგანოებში, განასახიერებენ დასავლეთ გერმანიის ყველაზე გათავხედებულ მილიტარისტულ და რევანშისტულ წრეებს“

ამხ. ა. ა. გრომიკოს გამოსვლიდან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესიაზე.

ნახ. გ. ლომიძისა

შპაიდელისა და ჰოიზინგერის სამწყობრო მომზადება, ანუ ძველი მისალმება ახალ ყაიდაზე—ჰაილ, უოლსტრიტ!

ეროვნული ბიბლიოთეკა